

რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

r_saginadze@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ნორმატიული, ტექნიკური, ლექსიკონი, სინონიმია ტერმინოლოგიაში.

ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის ასპექტები

დარგობრივ ტერმინოლოგიას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ტერმინთშემოქმედთა ძალისხმევა ყოველთვის იყო მიმართული ქართულ ტერმინთა შექმნისა და დამკვიდრებისაკენ. მიუხედავად ამისა, თავიდან ვერ ავიცილეთ უცხოურ ტერმინთა სიჭარბე, რაც განსაკუთრებული სიმწვავეთ თავს იჩენს ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. როგორც რ. ღამბაშიძე აღნიშნავს, XX საუკუნის დასაწყისში „ამჟამად იგრძნობოდა ტერმინოლოგიური ლექსიკის უკმარობა. ჩამორჩენა გვექნა განსაკუთრებით ტექნიკის დარგში, რომელიც იმ დროისათვის ახლად იდგამდა ფეხს. ტერმინოლოგიური მუშაობა აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა“ (ღამბაშიძე 1972).

ეს საქმე ითავა საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ, რომლის მიერ შექმნილმა ტერმინოლოგიამ, გამოცემულმა ლექსიკონებმა: „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“ (1920) და მეორე შევსებული გამოცემა (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი) (1921) საფუძველი ჩაუყარა ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას.

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვუკოლ ბერიძეს, რომლის მიერ არის შემოღებული ასობით და ათასობით ტერმინი (*მივლინება, საშვები, განაშენიანება, შევსებულება...*) (ღამბაშიძე 2006); მისი ხელმძღვანელობით გამოცემული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ბაზაზე შეიქმნა 1977 წელს „რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია“, 1982 წელს კი – მისი შებრუნებული ნაწილი „ტექნიკური ტერმინოლოგია (ქართულ-რუსული ნაწ.)“ (რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის საერთო რედაქციით).

წინამორბედ ტერმინოლოგთა თავდადებული მუშაობა დღესაც წარმატებით გრძელდება მდიდარი ტრადიციების მქონე არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში. ლექსიკოგრაფიული მუშაობის პარალელურად განყოფილება ასრულებს დიდ საკონსულტაციო სამუშაოებს, დაწესებულებებსა და კერძო პირებს ეხმარება ახალი ცნებების შესატყვისი ტერმინების დადგენასა და უკვე შემუშავებული ტერმინების დაზუსტებაში (<http://www.ice.ge/new/?p=termin>).

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა იქმნება ახალი დარგები, ამასთან, ითარგმნება ტექნიკური ხასიათის დიდძალი ლიტერატურა, ჩნდება ახალ-ახალი ტერმინები, მათ შორის, კალკირებული ფორმები ან პირდაპირ, უთარგმნელად გადმოტანილი; ზოგ შემთხვევაში ახალთან ერთად არსებობს ძველი ტერმინიც; ხშირად სტიქიური ხასიათი აქვს ამა თუ იმ დარგის შესაბამის ტერმინთა სესხებას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ არ არის სრულად დამუშავებული, ჩამოყალიბებული ტერმინთა შერჩევისა და დამკვიდრების მექანიზმი.

ჩვენი კვლევის ობიექტიც თანამედროვე ტექნიკურ ტერმინოლოგიაში არსებული ერთ-ერთი მთავარი პრობლემა – ნასესხებ ტერმინთა ვარიანტების სტანდარტულობა, ნორმატიულობაა. ეს არ არის ახალი მოვლენა. ქართულ წერილობით ძეგლებში ჩანს, როგორ ცდილობდნენ ქართველი მწერლები თუ გადამწერები, მთარგმნელები დედნისეულ ტერმინთა გაქართულებას, შესატყვისის მოძიებას ან შექმნასა და დამკვიდრებას. ამგვარი დამოკიდებულებით იქმნებოდა ლექსიკოგრაფიული ნაშრომებიც. ამ პრინციპით არის აგებული, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, რომელშიც ავტორი უცხო, ნასესხობას (აღმოსავლურს) აღნიშნავს ტერმინით „სხვათა ენა“ და იქვე ხაზგასმით მიუთითებს სათანადო ქართულ შესატყვისს. მაგალითად, „*დურბინი* სხვათა ენაა, ქართულად *შორ(ს)სათვალე* და *ჭოგრი* ჰქვია“ (ორბელიანი 1966); „*მანშური* სხვათა ენაა, სიგლისათვის დაურქმევიათ ცუდად“ (ZA); „სხვათა ენაა, *სიგელი* ჰქვია ქართულად“ (B) (იქვე)...

ქართული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე XX საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია. ეს არის ეპოქა ძველისა და ახლის შეჯახებისა, აზრთა ჭიდილისა... ამ შეხლა-შემო-

ხლაში იკვეთება ბევრი სიახლე, რაც, ბუნებრივია, ცდილობს დამკვიდრებას. ანალოგიური პროცესი შეიმჩნევა ტერმინოლოგიურ სფეროშიც. ბევრ ტერმინს დიდი ხანია, მივიწყების ბურუსი ფარავს, ბევრიც ეს-ესაა წარსულს ჰბარდება. ქართული ენის მოამაგენი, ღრმა ეროვნული თვითშეგნების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, საგანგებოდ ზრუნავენ როგორც ქართულ ტერმინთა დაცვისათვის, ისე ახალ ტერმინთა შექმნისა და გავრცელებისათვის, თუმცა ორიგინალურ ტერმინთა პარალელურად შეიმჩნეოდა და დღესაც შეიმჩნევა უცხო ტერმინთა გამოყენება (სალინაძე, 2011).

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის პრესა საკმაოდ მდიდარ მასალას გვაწვდის იმდროინდელ ტერმინოლოგიურ ძიებათა შესახებ. მაგალითად, ბიოსამედიცინო ტერმინებს ეხება იაკ. ფანცხავას სტატია „ცხოვრება და მეცნიერება“ („განთიადი“, 1915: 3). ავტორი განიხილავს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებულ სტატიას „უჯრედი და ქსოვილი. ადამიანის ანატომიის შესავალი“ (მკურნ. ს. კახიანი და სტუდ. პ. ქავთარაძე). შესავალში იგი აღნიშნავს: „ისეთი ტერმინების შესახებ არას ვიტყვი, რომელიც, ჩემი აზრით, მოსაწონი და მისაღებია. ავნიშნავ მხოლოდ ისეთ ტერმინებს, რომელიც... შეწყნარებული და მიღებული არ უნდა იქნეს. ასეთი ტერმინების შეთანხმებით გასწორება ახლავე საჭიროა, სასარგებლოც და აუცილებელიც“ (იქვე). ეს ტერმინებია:

თეთრი სორსლები (ლეიკოციტები – ავტ.) – იაკ. ფანცხავა *სირსვალს* ამჯობინებს. *სირსვალი* ცერცვის მარცვალს ჰქვია. სისხლის წითელი წინწკლები, მისი აზრით, თავისი ფორმითა და მოხაზულობით ძალიან წააგავს სირსვალს. ადრე ამ ტერმინის მნიშვნელობით იაკ. ფანცხავას გამოუყენებია *ბუშტი*, მაგრამ შემდეგ შეცდომად ჩაუთვლია, რადგან, მისივე თქმით, „ბუშტი სრულებით გვრალია და შიგნით ცარიელია... *სორსალიც* არ გამოდგება, რადგან ეს მოგუნდავებული ნაფლეთი რამ არის“ (იქვე). საბოლოოდ, ავტორი უპირატესობას ისევ *სირსვალს* ანიჭებს და დასძენს, ფიზიოლოგიაშიც ხშირად წითელ წინწკლებს ცერცვის მარცვლებს შეადარებენ ხოლმეო. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში *წინწკლების* მაგივრად დამკვიდრებულია *ბურთულაკები*;

მოციმციმე ეპიტელს იაკ. ფანცხავა *ბეწვიან ეპიტელს* ამჯობინებს;

შემადერთებელი ქსოვილი უნდა შეიცვალოს *შემაკავშირებელი ქსოვილით*, რადგან ეს ქსოვილი, ავტორის აზრით, მართლაც მჭიდროდ, მტკიცედ აკავშირებს და არამხოლოდ აერთებს;

სასუნთქავი მილი || *სასუნთქავი ყელი* – ამ ტერმინებს იაკ. ფანცხავა *სასუნთქავ ყიას* ამჯობინებს, რადგან იგი ნამდვილი ქართული სიტყვაა და ქართულ მწერლობაში დიდი ხნიდან ხმარებული. ეს სიტყვა აღნიშნულია სულხან-საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში. იაკ. ფანცხავას აზრითაც, რუსული *пищеводы* უნდა გადმოიცეს ტერმინით *საყლაპავი ყია*;

უდრეკი არ არის *ელასტიური*. *უდრეკი* ის არის, რომელიც მართლაც არ იდრიკება, არ მოიღუნება. ასეთი საგნის მხოლოდ გადატება შეიძლება, *ელასტიური* კი ის არის, რომელიც ძალის მიმართულებას მიჰყვება ხოლმე, საითკენაც ძალა ეზიდება, საგანიც იქით გადაიღუნება, გადაიხრება, ძალა გაქრება და ელასტიური საგანიც წინანდელ მდგომარეობას უბრუნდება თავისთავად. ასეთი საგნის შესახებ, იაკ. ფანცხავას აზრით, უნდა ითქვას *მოქნილია* და არა *უდრეკი*. მაგალითად, თასმა მოქნილია. ძალზე მოქნილ თასმას კი *უწყვეტი* უნდა ეწოდოს;

კენჩხო პროვინციალიზმია. გავრცელებული ტერმინია *კეფა* (იაკ. ფანცხავა);

ხმელ-ძარღვი რუს. *сухожилъие*-ს პირდაპირი თარგმანია. იაკ. ფანცხავას სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ არ იყო საჭირო თარგმნა, რადგან სულხან-საბას ლექსიკონში მოიპოვება ტერმინი *მყესი*, რომელიც ზედგამოჭრილია ამ ცნების გამოსახატავად (1. მყესნი – მომზიდველი თავუნი ძარღვთანი: „მყესნი არიან მომზიდველნი თავუნი, რომელ არს ძარღვნი“; 2. თავუნი (თავგვნი) – სხვილ(ნი) ძარღვნი. შდრ. მყესნი – სულხან-საბა). გარდა ამისა, ქართულად სრულებით არ ვარგა ტერმინი *ხმელ-ძარღვი*. თუ ძარღვი ხმელია, ცხოველი მკვდარია. თუ ძარღვი ხმელი შეიძლება, ჩანს, ნედლი ძარღვიც არსებობს. „თუ გავჯიუტდებით და მყესს არ მივიღებთ, მაშინ ხმელ-ძარღვს ისევ მშრალი ძარღვი ემჯობინება“, – დასძენს ავტორი. თანამედროვე ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულია *მყესი*.

ტერმინოლოგიური ძიებანი აისახა იაკ. ფანცხავას კიდევ ერთ წე-რილში. იგი დაბეჭდილია რუბრიკით „ბიბლიოგრაფია“ და ეხება დ. ახვლედიანის წიგნს „ჩარლზ დარვინი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“ („განტ.“, 1915, 7, 23).

იაკ. ფანცხავა წიგნაკის ავტორს შენიშვნას აძლევს სწორედ ტერმინთა ვარიანტულობის გამო: „ბ-ნი ახვლედიანი ტერმინების ძალიან რყევას განიცდის. ერთი და იმავე ცნების გამოსათქმელათ იგი სხვა და სხვა სიტყვებს ხმარობს. ეს მრავალსიტყვაობას ბადებს, ტერმინის სიმტკიცეს კი ძალზე ხელს უშლის. ხანდახან კი ორი სხვა და სხვა ცნების გამოსათქმელათ ერთი და იგივე ტერმინია ნახმარი. ეს კი წაკითხულის გაგებას აძნელებს. ეს ორი გარემოება – დიდი მნიშვნელობის ნაკლია ასეთი სახალხო წიგნაკისათვის...“ (იქვე). ავტორს ჩამოთვლილი აქვს რვა ვარიანტი: დასამარებული, დასამარებულ-დამიწებული, დამიწებულ-დასამარებული, დამიწებული, ცხოველთა გაქვავებული ნაშთი, გაქვავებული ძვლები, დამიწებულ-გაქვავებული, დამიწებულ-გაქვავებული სამთხრებლო... აქ რუსული ტერმინის *искапаемое*-ს გამოსათქმელად მთელი ლექსიკონია გამოყენებული. იაკ. ფანცხავა უარყოფს ამგვარ „მრავალსიტყვაობას“ და მისაღებად მიაჩნია ტერმინი *სამთხრებლო*;

მოშინაურებული ცხოველები || შეკეთებული მცენარეები... ეს უკანასკნელი ყოვლად უვარგისად მიაჩნია იაკ. ფანცხავას. ამ სიტყვით აღნიშნულია ის მცენარეები, რომელნიც ადამიანს მოშენებული ან გაშენებული აქვს და რომელთაც იგი თავის ბაღში, ეზოსა და ყანაში რგავს, თესავს და მოჰყავს. უნდა იყოს: *მოშენებული მცენარეები*;

არა-ორგანოვანი და ორგანოვანი || ორგანული ბუნება – იაკ. ფანცხავასთვის მისაღებია *ორგანული ბუნება*;

წყალ ვარდნილი – უარყოფს ასე უხეშად გადმოთარგმნილ სიტყვებს და ნამდვილ ქართულ გამოთქმად მიაჩნია *ჩანჩქერი*. აღსანიშნავია, რომ ვ. თოფურიასა და ს. ყაუხჩიშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ (1956 წ.) შეტანილია ორივე ტერმინი: *водопод – ჩანჩქერი, წყალვარდნილი* (სალინაძე, 2011);

ჩასახულება || ჩანასახი || განსახულება – ვარიანტთაგან ავტორი *განსახულებას* ამჯობინებს, რადგან, მისი აზრით, არსებობს უამრავი ცხოველი, მაგალითად, ფილოქსერა, რომელშიც ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობის პროცესი განსხვავებულია: ახალი ცხოველის აგებულება დედალი ცხოველის სხეულში თავისთავად განისახება. ამიტომ აქ შეუძლებელია ტერმინ *ჩასახებას* გამოყენება.

ნაკუჭა (< რუს. *желудочек*). ეს ტერმინი აღნიშნავს გულის წვერს. გულსა და კუჭს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს. ამიტომ იაკ. ფანცხავას *ნაკუჭა* გულის წვერის შესაფერის ტერმინად არ მიაჩნია. გულის ნაწილების აღსანიშნავად იგი იყენებს ტერმინებს: *წინა-*

გული (< რუს. *предсердые*) და უკანა-გული (< რუს. *желудочек*). *предсердые* ლათინურად არის *ატრიუმ*. ასე უწოდებდნენ რომაელები სახლის აივანს, წინკარსაც.

ტერმინის სიზუსტე იმითაც მტკიცდება, რომ გული არის შუა ადგილი სისხლის მიმოქცევისა. სისხლის ყოველი ნაწილი და ამ სისხლის *სირსვლები* (*ბურთულაკები* – ავტ.) პირველად წინა-გულს ხვდება და გაივლის მას, შემდეგ კი აქედან გადაეცემა უკანა-გულს. ამიტომ სისხლისა და სისხლის სირსვლებისთვის *предсердые* წინა-გულია, წინ გასასვლელია, *желудочек* კი უკანა-გულია, უკან გასასვლელია. ავტორი რუსული ტერმინების უხერხულობაზეც მიუთითებს. მაგალითად: *желудок* – *კუჭი* და *желудочек* – *უკანა-გული*, *გულის წვერი* სრულიად გამოუსადეგარ ტერმინებად აქვს მიჩნეული. „ამ სიტყვებს თუ გავარჩევთ, აღმოვაჩენთ, რომ ეს ორი სიტყვა ნიშნავს რკოს – *жѣлудъ*. აქედან კი კნინობითი სახელია წარმომდგარი *желудокъ* – *კუჭი* და კიდევ უფრო დაკნინებული სახელი *желудочекъ*. ახლა იკითხავთ, რა აქვს საერთო რკოსა, კუჭსა და გულს?! არაფერი, მარა ახლა რუსული ლიტერატურა ამის უხერხულობას, ამის შეუფერებლობას როდი ამჩნევს, არც უკვირდება ამას. ერთხელ ასეა მიღებული, მორჩა და გათავდა!... *ნაკუჭა* გულის წვერს სრულებით არ შეეფერება, რადგან მკითხველი ამ სიტყვის წაკითხვისას წარმოიდგენს, რომ ეს *ნაკუჭა* რაღაც პატარა და მცირე კუჭიაო, რომელიც ამასთანავე კუჭში ან კუჭთან უნდა იყოს დაკავშირებული“ (სალინაძე 2011).

მაშასადამე, ავტორი ცდილობს დაამკვიდროს ტერმინები *წინა-გული* და *უკანა-გული*. სრულიად სამართლიანად არ მიაჩნია მას მისაღებად რუსული ტერმინების პირდაპირ თარგმნა: „რუსული *пищеварительный канал* რა გამოთქმაა? სრულებით სინამდვილეს არ შეეფერება. პირდაპირ რომ გადმოვთარგმნოთ, იქნება: საჭმლის მომხარშავი მილი. ახლა ყველამ იცის, რომ ჩვენი კუჭი და ნაწლავები საზრდოს როდი ხარშავენ, არამედ ინელებენ, ითვისებენ. ასე უხერხულია რუსული ტერმინოლოგია-კი“. ამიტომ, იაკ. ფანცხავას აზრით, ზედმეტად არ უნდა ჩაუუკირკიტოთ ტერმინებს, უმჯობესია, გამოვიყენოთ და გავაგრცელოთ ერთხელ ვინმესგან ხმარებული ტერმინი (იქვე).

ტერმინთა სტანდარტულობის, ნორმატიულობის პრობლემა ყოველთვის იდგა ტერმინოლოგთა ყურადღების ცენტრში. 1982 წელს, როცა გამოიცა „ქართულ-რუსული ტექნიკური ტერმინოლოგია“, მოქმედებდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სტანდარტები. წიგნის

წინასიტყვაობის ავტორი წერდა: „...საკავშირო სტანდარტები მოიცავს სახალხო მეურნეობის დარგების არა მარტო პროდუქციას, ტექნოლოგიურ პროცესებსა და სხვ., არამედ ტერმინოლოგიასაც. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სტანდარტები ერთობლივია და ყველა სახის დოკუმენტაციაში... სტანდარტებით დადგენილი ტერმინების გამოყენებაა სავალდებულო. ქართული ტერმინი უნდა იყოს საკავშირო სტანდარტით დამტკიცებული რუსული ტერმინის ქართული შესატყვისი, თანაც ყოველ ცნებას ერთი ტერმინი უნდა შეესაბამებოდეს“ („ტექნიკური ტერმინოლოგია“, 1982). აქვე სანიმუშოდ მოხმობილი აქვს რუსულ ტერმინოლოგიაში არსებული ავტომობილის ერთი აგრეგატის აღმნიშვნელი სამი პარალელური ტერმინი: *коробка передач*, *коробка перемены передач*, *коробка скоростей* და, შესაბამისად, ქართულ ტერმინოლოგიაში შემორჩენილი სამი სინონიმი: *გადაცემათა კოლოფი*, *გადაცემათა ცვლის კოლოფი*, *სიჩქარეთა კოლოფი*, მაშინ როცა საკავშირო სტანდარტით დაკანონებულია მხოლოდ ერთი ტერმინი *коробка передач* (იქვე). საკავშირო სტანდარტებზე დაყრდნობა არასაჭირო სინონიმიის თავიდან აცილების საშუალება მართლაც იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, გზას უხსნიდა ქართულში კალკირებულ ტერმინოლოგიას. ამ პრობლემაზე დღესაც მიუთითებენ სპეციალისტები: „ტერმინოლოგიური სიჭრელე მთავარი სირთულეა, რომლის გამო „ენის ზრდა“ ფერხდება“ (ქაროსანიძე 2020).

სხვა ნასესხები ტექნიკური პარალელური ტერმინები გაანალიზებული გვაქვს სალექსიკონო მასალის, აგრეთვე, სხვადასხვა გამოცემაში არსებული მონაცემების მიხედვით. მათ შორის გამოვყოფთ არასამთავრობო ორგანიზაციის იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირის „სპექტრის“ (ხელმძღვანელი პროფ. ქ. ცხაკაია) პროექტების ფარგლებში დამუშავებულ მასალებს¹.

აღსანიშნავია ორგანიზაციის წევრთა დამოკიდებულება ტერმინოლოგიური საკითხებისადმი. პროექტების ფარგლებში მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემა. სანიმუშოდ დავასახელებთ ერთ-ერთ პროექტს „ეკოლოგიური განათლება ჟურნალისტებს“ (2002

¹ „სპექტრი“ შეიქმნა 1997 წელს ქუთაისში. მასში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ტექნიკური დარგის სპეციალისტები (მეტწილად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები). რამდენიმე წელია, „სპექტრი“ ახორციელებს ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს (ძირითადად გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისა).

წ.), რომლის ფარგლებშიც გამოიცა 6 ბროშურა („მყაური წვიმები“, „ოზონის შრის დაშლა“, „კლიმატის გლობალური დათბობა“, „პესტიციდები“, „ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებები“, „ქალაქის ეკოლოგია“) და „ეკოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი“. გამოცემათა უმრავლესობას დართული აქვს მოკლე ლექსიკონი, ტერმინთა განმარტება. აღსანიშნავია ისიც, რომ „სპექტრის“ წევრებს, ტექნიკური დარგის სპეციალისტებს, ტერმინოლოგიურ საქმიანობაში ჩართული ჰყავთ ქართული ენის სპეციალისტიც. მათთან ერთობლივი მუშაობის შედეგად მომეცა საშუალება, გავცნობოდი სხვადასხვა ტექნიკური დარგის ტერმინოლოგიას. გამოვეყოფთ ნასესხებ ტექნიკურ პარალელურ ტერმინთა ისეთ ჯგუფებს, როგორებიცაა:

I. ძველი და ახალი ტერმინები:

ნახშირჟანგი || *ნახშირბადის მონოქსიდი* (CO);

ნახშირორჟანგი || *ნახშირბადის დიოქსიდი* (CO₂). ამ ტერმინებთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი ვითარება ჩანს არა მხოლოდ პუბლიკაციებსა და ინფორმაციებში, არამედ ლექსიკონებშიც. „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (1982) ნახსენებია მხოლოდ *ნახშირჟანგი* და *ნახშირორჟანგი*, რომელთაც სპეციალისტები მოძველებულად მიიჩნევენ და უპირატესობას ანიჭებენ მეორეს. პროექტების ფარგლებში გამოცემული „ეკოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებით ლექსიკონში“ განმარტებულია *ნახშირჟანგი* (CO) – მომწამლავი, მხუთავი აირი... ნახსენები არ არის *ნახშირორჟანგი* (CO₂), თუმცა იმავე ლექსიკონში შეტანილია *ოქსიდი* – ქიმიური ელემენტის ჟანგბადთან ნაერთი; განმარტებულია *დიოქსიდი* – ორჟანგი, *მონოქსიდი* კი – არა. იგი ნახსენებია *მხუთავ აირთან* დაკავშირებით (მხუთავი აირი – იხ. ნახშირბადის მონოქსიდი)... გვხვდება სხვა პარალელური ტერმინებიც: *აირი* || *გაზი*: *სათბურის აირები* || *სათბურის გაზები*, *ბუნებრივი აირი* || *ბუნებრივი გაზი*...

II. უცხო და ქართული ტერმინები:

ტოქსიკური || *ტოქსიური* || *მომწამლავი* || *მომწამვლელი*; *ინტოქსიკაცია* || *მოწამვლა*; *ინტოქსირებული* || *მოწამლული*...

III. კალკირებული ტერმინები:

ტყვიის გლაზური || *ტყვიის მოჭიქურება*. „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (1982) შემოთავაზებულია უცხო ტერმინის ქართული შესატყვისი *მოჭიქურება* (რუს. *Оглазуривание*), *მოჭიქურებული* (რუს. *Оглазуренный*). უპირატესობა სწორედ მას უნდა მიენიჭოს...

კალკირებულია, აგრეთვე, ისეთი თხზული და შესიტყვებატერმინები, როგორებიცაა: *მაცივარაგენტი* (რუს. *Хладагент*) || *სამაცივრო აგენტი* (რუს. *холодильный агент*) (იქვე)...

გამოცემებში გვხვდება რუსული *выбор* ტერმინის რამდენიმე შესატყვისი: *გატყორცნა* || *გამოტყორცნა*, *გამონატყორცნი* || *გამოტყორცნილი* || *გამონაფრქვევი* || *გამოფრქვეული*. მაგალითად: *ატმოსფეროში გატყორცნა*, *ავტომატები გამოტყორცნიან ტყვიის ნაერთებს, მანქანებიდან გამოფრქვეული ტყვია...* უმჯობესია ქართულში უპირატესობა მიენიჭოს ტერმინებს: *გამოფრქვევა*, *გამონაფრქვევი*, *გამოიფრქვევა...* (შდრ. *გამონაბოლქვი*).

IV. *სხვადასხვა ფაქტორით შეპირობებული* ტერმინთა ვარიანტები:

ა) ფონეტიკურად შეპირობებული: *შესხურება* || *შეშხურება* – სწორი ზმნური ფორმაა *ასხურებს* (ქეოლ). სათანადო მასდარია *შესხურება*. ამიტომ ის უნდა ჩაითვალოს მართებულად (სალინაძე, 2006)...

ბ) სემანტიკურად შეპირობებული (სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები): *ენერგოეფექტურობა* || *ენერგოეფექტიანობა* – მართებულად არის მიჩნეული ორივე. ამ ტერმინთა შესაბამოდ გამოყენების შესახებ საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ერთ-ერთი გამოცემის რედაქტორი ეკონომიკურ მეცნ. დოქტორი, პროფესორი დ. ჩომახიძე. მას მიაჩნია, რომ: „როცა საკითხი ეხება ეკონომიკურ საქმიანობასა და მის შედეგებს, მიზანშეწონილია „ენერგოეფექტიანობის“ ხმარება, „ენერგოეფექტურობა“ კი საქმის უფრო გარეგნულ, ვიზუალურ მხარეს გამოხატავს (ჩომახიძე 2010). განმარტებები:

ენერგოეფექტურობა – მაღალეფექტიანი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის გამოყენებით, ნაკლები ენერგეტიკული დანახარჯებით, იმავე მოცულობისა და ხარისხის ენერგეტიკული მომსახურებისა და პროდუქტის მიღება;

ენერგოეფექტიანობა – აერთიანებს ორ ცნებას: *ენერგოეფექტურობასა* და *ენერგოდაზოგვას*. ენერგიის დაზოგვა ხელსაყრელია ეკონომიკურადაც (იქვე).

სხვა გამოცემაში დ. ჩომახიძეს გამიჯნული აქვს თვით ტერმინები *ეფექტური*, *ეფექტიანი*, მიმოხილული აქვს სალექსიკონო მასალა: „სამწუხაროდ, *ეფექტურობა*დაა თარგმნილი *Эффектность* საბჭოთა პერიოდის „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“ (ტექნიკური, 1977:519), *ეკონომიკურ ეფექტურობა*დაა განმარტებული კატეგორია, რომელიც მეურ-

ნეობის წარმართვის შედეგიანობას გამოხატავს, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1979 წ., ტომი 4: 74), ტერმინები აღრეულია ქართულ-ინგლისურ-რუსულ ტერმინოლოგიაში (თ. ყიფიანი, 2011: 53, 289, 327) და ინგლისურ-რუსულ-ქართულ ენერგეტიკულ ლექსიკონში (რ. კანდელაკი, 2012:90, 92, 566, 605)“.

დ. ჩომახიძეს საკუთარი მოსაზრების მართებულობის აღსანიშნავად დამოწმებული აქვს სხვა მასალებიც: საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ (თ. 2, მუხლი 3, პუნქტი 1 ლ; თ. 7, მუხლი 43, პუნქტი 1 გ, 1 დ) და საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (იხ. ნაწ. 1, ძირითადი ამოცანები, პუნქტი 1.1., 2006 წ.)... აგრეთვე: „ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია“ (საერთო რედ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ლ. ჩიქავა, თბ., 2001 გვ. 9, 411) და „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (საერთო რედ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. სილაგაძე, 2005: 235-236), „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (რ. ასათიანი, 2012:141) და სხვა (ჩომახიძე, ცხაკაია, 2015).

ჩვენ მიერ აღნიშნულ გამოცემაში „ენერგოეფექტიანობის შესახებ“ (2010) გამოყენებულია ორივე ტერმინი. მაგალითები: *ენერგოეფექტიანობის* შესახებ (სათაურში); რატომ არის აქტუალური *ენერგოეფექტიანობა? ენერგოეფექტიანობა* და მისი როლი გლობალურ ენერგეტიკულ პოლიტიკაში; *ენერგოეფექტიანობის* პოლიტიკა, *ენერგოეფექტიანობის* მარკირება, *ენერგოეფექტიანობის* ინდექსი... ელექტრომოწყობილობის *ენერგოეფექტურობა*, *ენერგოეფექტური* ნათურები, *ენერგოეფექტური* ფანჯრები, *ენერგოეფექტური* ძრავები, *ენერგოეფექტური* შენობა...

სალექსიკონო მასალის, აგრეთვე, სხვადასხვა გამოცემაში არსებული მონაცემების გაანალიზება გვიჩვენებს, თუ რა სირთულეებს ქმნის ნასესხებ ტექნიკურ ტერმინთა ვარიანტები ქართულში. გზა ამ სირთულის დაძლევისა არის ტერმინოლოგიური პოლიტიკის დროულად გატარება, ტერმინთა ნორმატიულობის, სტანდარტის საკითხების მოგვარება, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზის, ტერმინთაზნის შექმნის დაჩქარებას. ქართულ ტერმინთაზნს 2014 წლიდან ქმნის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის გან-

ყოფილება, მას მეტი მხარდაჭერა სჭირდება (ქართული ტერმინთსაცავი, 2018: 190-198). მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისა და ქართული ენის სპეციალისტთა ერთობლივი ტერმინოლოგიური მუშაობის დახვეწა და გამძლიერება.

ლიტერატურა

- ბერიძე 2006* – ვ. ბერიძე, ბიობიბლიოგრაფია, თბილისი.
<http://science.org.ge/old/members/BioBibliografia/Vukoil%20Beridze.pdf>
- ენერგოეფექტურობის შესახებ 2010* – ენერგოეფექტურობის შესახებ (რედ. დ. ჩომახიძე), ქუთაისი;
- ლექსიკონი 1982* – ტექნიკური ტერმინოლოგია, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული, თბილისი;
- ლექსიკონი 1966* – ს.-ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, I, თბილისი;
- სალინაძე 2006* – რ. სალინაძე, ეკოლოგიური ტერმინოლოგიის პრობლემები, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 6, თბილისი;
- სალინაძე 2011* – რ. სალინაძე, ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიიდან, თბილისი;
- ქაროსანიძე 2020* – ლ. ქაროსანიძე, სიტყვარი – ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი – 100 წლისა: ტერმინოლოგიის საკითხები, IV, თბილისი;
- ქართული ტერმინთსაცავი 2018* – ლ. ქაროსანიძე, ი. უჯმაჯურიძე, ე. ჯგერენაია ქართული ტერმინთსაცავი (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისათვის), ტერმინოლოგიის საკითხები, III, თბილისი; იხ., ასევე, აქვე: ლ. ქაროსანიძე, ეროვნული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში.
- ლამბაშიძე 1972* – რ. ლამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბილისი;
- ჩომახიძე, ცხაკაია 2015* – დ. ჩომახიძე, ქ. ცხაკაია, კლიმატის ცვლილება: მდგომარეობა და გამოწვევები, ტერმინოლოგია (რედ. რ. სალინაძე), ქუთაისი.

<http://www.ice.ge/new/?p=termin>

Rusudan Saginadze

Akaki Tsereteli State University, Georgia

r_saginadze@yahoo.com

Keywords: Terminology, Normativ, Technical Dictionary, Synonymy in Terminology.

Aspects of Georgian Terminological Work

Summary

In the conditions of modern globalization, when new fields are created or introduced to the country, the mechanism of selection and establishment of terms has not yet been fully developed. Therefore, in many cases, the borrowing of terms relevant to this or that field reveals a spontaneous character. At the same time, a large amount of technical literature is translated, and new terms appear, including those that are calqued or transferred directly, without translation. The old term frequently continues to exist along with the new one.

The object of our research is one of the main problems in modern Georgian technical terminology – the standardization and normalization of the variants of borrowed terms. This is not a new phenomenon. Specialists point to this problem even today: "Terminological diversity is the main difficulty, due to which the "growth of the language" is hindered" (Karosanidze 2020).

The article briefly discusses the role of previous terminologists in the formation and development of Georgian technical terminology; According to the dictionary material and the data available in various publications, several groups of borrowed technical parallel terms are separated and analyzed:

Old and new terms: *carbonic acid* (nakhsirzhanghi) || *carbon monoxide* (nakhsirbadis monoxidi) (CO); *carbonic acid* (nakhsiror-zhanghi) || *carbon dioxide* (nakhsirbadis dioxidi) (CO₂)...

Foreign and Georgian terms: *intoxication* (intoxicatia) || *poisoning* (motsamvla); *toxic* (toxikuri) || *toxic* (toxiuri) || *poisonous* (momtsamlavi)

|| *poisonous* (momwamvleli); *intoxicated* (intoxirebuli) || poisoned (motsamluli); *Lead glaze* (tqviis glazuri) || *Lead glazing* (tqviis mochi-kureba)...

Calqued terms: *Refrigerant* (matsivaragenti) (Russ. *Хладагент*); *refrigerant agent* (samatsivro agenti) (Russ. *холодильный агент*) („Technical Terminology“ 1982)...

There are also variants of Georgian (Georgianized) terms determined by various factors:

a) Phonetically determined: *to spray* (sheskhureba) || *to spray* (sheshskhureba) – *to spray* („sheskhureba“) is correct (Saghinadze 2006)...

b) Semantically determined (formed with different affixes): *energy efficiency* (*energoefekturoba*) || *Energy efficiency* (*energoefektianoba*) – both are considered to be correct by specialists in the field D. Chomakhidze, K. Tskhakaya (Chomakhidze, Tskhakaya 2015)...

This article concludes that analyzing more extensive material representing variants of borrowed technical terms allows us to identify standard issues and, more generally, to plan the ways of solving certain problems.